სსიპ კოლეჯი "იბერია"

11 აპრილი 2025

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის „იბერია" დირექტორის მ.შ.
ბრძანება N 24

სსიპ კოლეჯის ,,იბერია'' სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულ ფართების ნაწილზე, აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოლეჯ ,,იბერიის'' წესდების დამტკიცების შესახებ'' მე-5 მუხლის ,,ი'' პუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 24 თებერვლის NMES8250000194291 წერილის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 04 აპრილის NKA021778586473525 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ კოლეჯი ,,იბერია"-ს სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი: 03.04.32.234) განთავსებულ ფართების ნაწილზე, კერძოს: შენობა-ნაგებობა N1-ში პირველ სართულზე არსებული 35.34 კვ.მ და 36.10 კვ.მ ფართი; N2 შენობაში არსებული 90,45 კვ.მ და 49,14 კვ.მ ფართი და მიმდებარედ 74,65 კვ.მ მიწის ნაკვეთი (რომელზეც მოეწყობა მარტივად დასაშლელი, მსუბუქი, არამყარი კონტრუქცია); ასევე, N4 შენობაში არსებული 20 კვ.მ ფართი, ათი წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის, გამოცხადდეს აუქციონი;

2. აუქციონი იწყება 2025 წლის 11 აპრილს - 17:00 საათზე და სრულდება 2025 წლის 25 აპრილს - 17:00 საათზე.

3.აუქციონზე აღნიშნული ქონების განთავსება და ორგანიზება დაევალოს, ამავე კოლეჯის ფინანსურ მენეჯერს და იურისტის მოვალეობის შემსრულებელს;

4.იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის ქონების აუქციონზე განთავსება მოხდეს ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: eauction.ge.

5.კოლეჯის საქმისმწარმოებელს დაევალოს ამ ბრძანების გაცნობა შესაბამისი პირისათვის;

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი. ვ. კუპრაძის ქ. N11).

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი /ირაკლი ავალიანი/